წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის ოქმი N18

ქ.წალენჯიხა 19 ოქტომბერი 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკი უბილავა, დავით ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის N68 საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციის , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ გიორგი ლუკავა.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12:45 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაუფიქსირებიათ.
წალენჯიხის N68 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ანა მიქავამ საკრებულოს წევრებს გააცნო 2016 წლის 8 ოქტომბრის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნების შედეგები და წარუდგინა შემაჯამებელი ოქმი და გადასცა მას მოწმობა რომლის საფუძველზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლად არჩეულიქნა საკრებულოს წევრი ბესიკ ფარცვანია, რაც გახდა მისი საკრებულოს წევრობის ვადამდე შეწყვეტის საფუძველი,

დღის წესრიგი:

1. ბესიკ ფარცვანიასთვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.
   მომხსენებელი:იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ გაბელია

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N50).
ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 19 ოქტომბერი 2016 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N50

ბესიკ ფარცვანიასთვის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 42-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. ვადამდე შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ბესიკ ფარცვანიას.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ამ განკარგულების წალენჯიხის №68 საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გადაგზავნა.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია